

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „დარიალი ენერჯის“ ხელმძღვანელობას და აქციონერებს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „დარიალი ენერჯის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც რელევანტურია საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტისთვის და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2023 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2023 წლის წლიურ ანგარიშში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2023 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როცა ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2024 წლის 22 აპრილი

თბილისი, საქართველო

სს „დარიალი ენერჯი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	12	62,087	79,623
ცვეთა	6	(7,252)	(7,086)
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(2,704)	(2,517)
მიწის და ქონების გადასახადი		(2,236)	(2,408)
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(5,049)	(3,149)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		125	19
საოპერაციო მოგება		44,971	64,482
ფინანსური შემოსავალი	8	1,568	782
ფინანსური დანახარჯები	19	(4,861)	(6,340)
საკუროსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა		570	9,499
მოგება დაბეგვრამდე		42,248	68,423
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(1,323)	(3,245)
წლის წმინდა მოგება		40,925	65,178
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		40,925	65,178

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა 2024 წლის 22 აპრილს:


გიორგი ქავთარაშვილი
გენერალური დირექტორი


ზვიად ალავაშვილი
უფროსი ბუღალტერი

9-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	12	62,087	79,623
ცვეთა	6	(7,252)	(7,086)
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(2,704)	(2,517)
მიწის და ქონების გადასახადი		(2,236)	(2,408)
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(5,049)	(3,149)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		125	19
საოპერაციო მოგება		44,971	64,482
ფინანსური შემოსავალი	8	1,568	782
ფინანსური დანახარჯები	19	(4,861)	(6,340)
საკუროსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა		570	9,499
მოგება დაბეგვრამდე		42,248	68,423
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(1,323)	(3,245)
წლის წმინდა მოგება		40,925	65,178
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		40,925	65,178

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა 2024 წლის 22 აპრილს:

გიორგი ქავთარაძე
გენერალური დირექტორი

ზვიად ალავეიძე
უფროსი ბუღალტერი

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნა	2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	206,773	212,452
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		722	471
აქტივის გამოყენების უფლება		292	331
არამატერიალური აქტივები		62	7
შეზღუდული ფულადი სახსრები	8	17,612	17,906
სულ გრძელვადიანი აქტივები		225,461	231,167
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	2,871	1,124
გადახდილი ავანსები		311	168
მოთხოვნები		13	2,942
ავანსად გადახდილი გადასახადები		40	7
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	19,201	13,361
ვადიანი ანაზარი	9	4,184	4,204
სულ მოკლევადიანი აქტივები		26,620	21,806
სულ აქტივები		252,081	252,973
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი	10		
გამოშვებული კაპიტალი		84,233	84,233
სხვა კაპიტალის რეზერვები		3,738	3,738
გაუნაწილებელი მოგება		97,385	70,932
სულ საკუთარი კაპიტალი		185,356	158,903
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები	11	36,086	63,693
საიჯარო ვალდებულებები		147	196
ტყის მასივის აღდგენის ანარიცხი	5	1,182	1,268
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		37,415	65,157
მოკლევადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები	11	28,329	27,479
ტყის მასივის აღდგენის ანარიცხი	5	437	437
საიჯარო ვალდებულებები		85	80
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულება		10	753
სხვა ვალდებულება		449	164
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		29,310	28,913
სულ ვალდებულებები		66,725	94,070
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		252,081	252,973

9-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	გამოშვებული კაპიტალი	სხვა კაპიტალის რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	84,233	3,738	41,314	129,285
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	65,178	65,178
გამოცხადებული დივიდენდები (მე-10 შენიშვნა)	–	–	(35,560)	(35,560)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	84,233	3,738	70,932	158,903
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	40,925	40,925
გამოცხადებული დივიდენდები (მე-10 შენიშვნა)	–	–	(14,472)	(14,472)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	84,233	3,738	97,385	185,356

9-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		42,248	68,423
<i>არაფულადი კორექტირებები გადასახადით დაბეგვრამდე</i>			
<i>ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		7,252	7,086
საკუროს სხვაობით განპირობებული შემოსულობა საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობაზე, წმინდა		(829)	(13,565)
ფინანსური დანახარჯები		4,861	6,340
ფინანსური შემოსავალი		(1,568)	(782)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		443	56
		52,407	67,558
საბრუნავი კაპიტალის კორექტირება			
ცვლილება მარაგებში		(1,747)	(642)
ცვლილება მოთხოვნებში		2,929	1,775
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(143)	20
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში		(33)	(7)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		-	4,428
ცვლილება სხვა ვალდებულებებში		285	131
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		53,698	73,263
გადახდილი პროცენტი		(5,157)	(7,165)
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,323)	(4,149)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		47,218	61,949
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(2,932)	(1,118)
გადახდა არამატერიალურ აქტივებზე		(57)	-
მიღებული პროცენტი		1,568	782
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,421)	(336)
საფინანსო საქმიანობა			
შეზღუდული ფულადი სახსრების შემცირება ანაბარზე		294	2,337
ვადიანი ანაბრების შემცირება/(განთავსება)		20	(4,204)
პროცენტიანი სესხების დაფარვა	19	(25,169)	(27,855)
ანაბრის გადახდა	10	(14,472)	(38,331)
იჯარის გადახდა		(97)	(82)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(39,424)	(68,135)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		6,373	(6,522)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		13,361	23,940
წმინდა საკუროს სხვაობები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(533)	(4,057)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8	19,201	13,361

9-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

1. კორპორაციული ინფორმაცია

სს „დარიალი ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული რეზიდენტი სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. №8.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა. მისი ძირითადი საოპერაციო აქტივია საქართველოში, ყაზბეგის რაიონში მდებარე ჰიდროელექტროსადგური („დარიალის ჰესი“).

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 2016 წლის ნოემბერში დასრულდა და კომპანიამ ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა 2016 წლის ბოლოს დაიწყო.

2020 წლის 27 აპრილს, შპს „ფერმა“ TEPCO Renewable Power Singapore Pte. Ltd.-ს მიჰყიდა 31,38%-ის ოდენობით წილი. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა ასეთი იყო:

შპს „ენერგია“	44.27%
TEPCO Renewable Power Singapore Pte. Ltd.	31.38%
Lok W. Home Irrevocable Trust	24.35%
	100.00%

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერების მიერ. აქციონერთა კრება ჩვეულებრივ საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის პირველ ნახევარში ტარდება. აქციონერებს აქვთ იურიდიული უფლება შეცვალონ ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება ლარშია წარმოდგენილი, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის სამუშაო ვალუტაში აღირიცხება, გარიგების თარიღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად.

(ბ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ყველა ძირითადი საშუალება ასახულია პირვანდელი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. პირვანდელი ღირებულება მოიცავს მუხლების შეძენასთან პირდაპირ მიკუთვნებად ხარჯებს. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივის თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა პირდაპირ მიკუთვნებად ხარჯს, რომლებიც უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის დანახარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს. კომპანიის აქციების სანაცვლოდ აქციონერების მიერ კაპიტალში შეტანილი აქტივების თვითღირებულება ფასდება ამ აქტივების სამართლიანი ღირებულებით, სანამ ამ სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელი არ გახდება. თუ კომპანიას არ შეუძლია მიღებული არაფულადი აქტივების სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება, მან უნდა შეაფასოს მათი ღირებულება და შესაბამისი ზრდა კაპიტალში არაპირდაპირი გზით, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების მიხედვით.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად). თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის თვითღირებულების აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი თვითღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(iii) ცვეთა

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მიმდინარე და შედარებადი პერიოდებისთვის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადებია:

მანქანა-დანადგარები	5-55 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	3-5 წელი
საოფისე აღჭურვილობა	5-7 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება ყოველი ფინანსური წლის დასასრულს გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(გ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს ბალანსის ყოველი თარიღისთვის.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (დაუკორექტირებელი) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე;
- ▶ მე-2 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ მე-3 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

(დ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შემცირების ხარჯებს, ასევე წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

(ე) გადასახადები

(i) მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულებების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა საოპერაციო ხარჯებში შემავალი სხვა გადასახადები.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) გადასახადები (გაგრძელება)

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შეძენის ღირებულებაში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღე აქტივის ან ვალდებულების ნაწილში.

(ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკებში პროცენტის მიმდინარე ანგარიშებისგან.

(ზ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ კონსტრუქციული) ვალდებულება და სავარაუდოა, რომ საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება ვალდებულებების დასაფარად და შესაძლოა გაკეთდეს ვალდებულების რაოდენობის სანდო შეფასება. ნებისმიერ ანარიცხთან დაკავშირებული ხარჯი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების ეფექტი არსებითია, ანარიცხები დისკონტირდება მიმდინარე გადასახადით დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც შესაბამის შემთხვევაში ასახავს ვალდებულების შესაბამის ვალდებულებას. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

(თ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია ელექტროენერგიის გამომუშავების საქმიანობას ეწევა. გამომუშავებული ელექტროენერგია იყიდება სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე“. ელექტროენერგია იყიდება ცალკეული ხელშეკრულებების ფარგლებში და ელექტროენერგიის გაყიდვა ერთდერტ შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს. შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია და ამონაგები აღიარდება ისეთ დროს, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც აქტივის მიწოდების მომენტში ხდება.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების საიმედოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან გამოითვლება ყოველთვიურად მომხმარებლებისთვის მიყიდული ელექტროენერგიის ოდენობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროქსელის ოპერატორის - „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გაცემული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტით.

4. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ქვემოთ მოცემული ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, თუმცა მათ არ აქვთ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 17: სადაზღვევო ხელშეკრულებები
- ▶ სააღრიცხვო შეფასების განმარტება - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება
- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ
- ▶ ერთი გარიგებიდან წარმოდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება
- ▶ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიმუშო წესები - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ახალ სტანდარტებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებასა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე. თუმცა ამ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებით არსებული განუსაზღვრელობის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება (გაგრძელება)

განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა შეფასების განუსაზღვრელობა საანგარიშგებო თარიღში, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

ტყის მასივის აღდგენის ანარიცხი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას დაევალა სოციალური და ეკოლოგიური განვითარების გეგმის შემუშავება. ამ გეგმაში ჩადებული ერთ-ერთი მოთხოვნა ტყის მასივის აღდგენაა. ტყის მასივის აღდგენის 2017 წლამდე მომზადებული სამუშაო გეგმის მიხედვით, მთელი ტერიტორიის ტყის მასივის აღდგენის სამუშაოები 2016-2021 წლებში უნდა ჩატარებულიყო. 2023 წლის განმავლობაში ტყის მასივის აღდგენის გეგმა განახლდა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელია, რომ ძირითადი სამუშაოები დასრულდება 2026 წელს, ხოლო დარჩენილი მცირე ნაწილი თანდათანობით 2035 წლისთვის. ამ ანარიცხის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას გაკეთდა წინასწარი შეფასებები დისკონტირების განაკვეთთან და ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანარიცხის საბალანსო ღირებულებაა 1,619 ლარი (2022 წ.: 1,706 ლარი). კომპანიის შეფასებით, დანახარჯების რეალიზაცია მოხდებოდა 12 წლის ვადაში ტყის მასივების აღდგენის სამუშაოს დასრულებისთანავე და ანარიცხს გამოითვლის დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით, 7.52%-იან დისკონტირების განაკვეთზე დაყრდნობით.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებო- ბები	საოფისე აღჭურვი- ლობა	ავტოსატრა- ნსპორტო საშუალე- ბები	მანქანა- დანადგა- რები	სათადა- რიგო ნაწილები	დაუმთავ- რებელი მშენებ- ლობა	სულ
თვითღირებულება							
2022 წლის 1 იანვარს	14	304	387	252,033	357	528	253,623
შესყიდვები	–	316	126	433	–	386	1,261
გასვლა	–	–	–	(305)	–	–	(305)
გადატანები	528	–	–	–	–	(528)	–
2022 წლის 31 დეკემბერს	542	620	513	252,161	357	386	254,579
შესყიდვები	–	158	120	1,608	–	52	1,938
გადატანა	–	–	–	357	(357)	–	–
გასვლა	–	–	(36)	(571)	–	–	(607)
გადატანები	–	–	–	389	–	(389)	–
2023 წლის 31 დეკემბერს	542	778	597	253,944	–	49	255,910
დაგროვილი ცვეთა							
2022 წლის 1 იანვარს	–	(178)	(203)	(34,799)	–	–	(35,180)
ცვეთა წლის განმავლობაში	(39)	(48)	(97)	(6,822)	–	–	(7,006)
გასვლა	–	–	–	59	–	–	59
2022 წლის 31 დეკემბერს	(39)	(226)	(300)	(41,562)	–	–	(42,127)
ცვეთა წლის განმავლობაში	(67)	(95)	(90)	(6,922)	–	–	(7,174)
გასვლა	–	–	30	134	–	–	164
2023 წლის 31 დეკემბერს	(106)	(321)	(360)	(48,350)	–	–	(49,137)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბერს	503	394	213	210,599	357	386	212,452
2023 წლის 31 დეკემბერს	436	457	237	205,594	–	49	206,773

2014 წლის 12 აგვისტოს კომპანიამ გააფორმა პირობითი დათმობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კომპანიის მთლიანი ნაგებობა და მანქანა-დანადგარები გადაეცემა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს მისი სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში. აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ცვეთის ხარჯმა 2023 წელს 78 ლარი შეადგინა (2022 წ.: 80 ლარი).

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. მარაგები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია კომპანიის მარაგების შესახებ:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სათადარიგო ნაწილები	2,427	916
სხვა მარაგები	444	208
სულ მარაგები	2,871	1,124

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი სახსრები

	2023	2022
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	19,201	13,361

2023 წლის ფინანსურმა შემოსავალმა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე 814 ლარი შეადგინა (2022 წ.: 526 ლარი).

შეზღუდული ფულადი სახსრების ანგარიში მოიცავს 17,612 ლარს (2022 წ.: 17,906 ლარი) ოდენობით ფულად სახსრებს, რომლებიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხის ხელშეკრულების საფუძველზე ვალის მომსახურების ანგარიშის ფუნქციას ასრულებს. ფინანსურმა შემოსავალმა შეზღუდულ ფულად სახსრებზე 2023 წელს 754 ლარი შეადგინა (2022 წ.: 256 ლარი).

9. ვადიანი ანაზარი

	2023	2022
ვადიანი ანაზარი	4,184	4,204

2022 წელს კომპანიამ სს „თიბისი ბანკში“ გახსნა ვადიანი ანაზარი, რომელზეც ის აგროვებს მისი მთლიანი ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების კონკრეტულ პროცენტს, ამ ანგარიშს იყენებს სპეციალური რეზერვის სახით და ათავისუფლებს დივიდენდების განაწილებისგან. ვადიანი ანაზარი აშშ დოლარშია გამოხატული და მისი ვადაა 2024 წლის 29 მარტი.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. საკუთარი კაპიტალი

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი შედგება 47,433,333 ნებადართული და გამოშვებული ხმის თანაბარი უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება 1 აშშ დოლარია.

კომპანიის ნებადართული და გამოშვებული აქციების რაოდენობა 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შპს „ენერგია“	21,000,000	21,000,000
TEPCO Renewable Power Singapore Pte. Ltd.	14,883,333	14,883,333
Lok W. Home Irrevocable Trust	11,550,000	11,550,000
	47,433,333	47,433,333

კომპანიის სააქციო კაპიტალი აშშ დოლარშია გამოხატული. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 33,333,333 ჩვეულებრივი აქცია დაგირავებული იყო მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა 14,472 ლარის დივიდენდები (2022 წ.: გამოაცხადა 35,560 ლარის და გადაიხადა 2,771 ლარის; ამასთან გადაიხადა 2021 წელს გამოცხადებული 2,771 ლარის დივიდენდები).

11. პროცენტის სესხები

	2023	2022
პროცენტის სესხების მოკლევადიანი წილი	28,329	27,479
პროცენტის სესხების გრძელვადიანი წილი	36,086	63,693
სულ პროცენტის სესხები და ნასესხები სახსრები	64,415	91,172

2014 წლის 12 აგვისტოს კომპანიამ გააფორმა სესხის ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან 80,000 ათასი აშშ დოლარის საკრედიტო ხაზზე (დაახლოებით 211,744 ლარი). ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საკრედიტო ხაზი აშშ დოლარშია გამოხატულია და სესხის დაფარვის თარიღია 2026 წლის 2 მარტს.

ფინანსური დანახარჯები პროცენტის სესხებზე 2023 წლისთვის 4,843 ლარს შეადგენდა (2022 წ.: 6,314 ლარი).

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხის ხელშეკრულების ყველა ვალდებულებას.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან

2014 წლის 18 ივლისს კომპანიამ „ესკოსთან“ გააფორმა ხელშეკრულება ათი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვაზე. ეს ხელშეკრულება ძალაშია 2031 წლის 1 სექტემბრამდე. ამ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას უფლება აქვს გაყიდოს, ხოლო „ესკო“ ვალდებულია, იყიდოს კომპანიისგან ელექტროენერგია გარანტირებულ ფასად - 1 კვტ/სთ 6.5 აშშ ცენტად თვეში ოქტომბრიდან მარტამდე პერიოდში და 5,7 აშშ ცენტი 1 კვტ/სთ-ზე დარჩენილ 6 თვეზე.

2023 და 2022 წლების განმავლობაში კომპანიამ ელექტროენერგია მხოლოდ „ესკოს“ მიჰყიდა. მთლიანი ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან „ესკოსგან“ მოდის. ელექტროენერგიის გაყიდვიდან ამონაგებთან დაკავშირებული მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო ნული (2022 წლის 31 დეკემბერს: 2,849 ლარი).

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავდა შემდეგს:

	2023	2022
სარემონტო დანახარჯები (ა)	1,438	185
დაზღვევა	925	883
რეკლამა და სპონსორობა	364	369
პროფესიული მომსახურება	282	217
მივლინება	252	127
საკომისიო	209	180
დაცვის ხარჯები	199	201
ტყის მასივის აღდგენის ხარჯები	123	70
სხვა	1,257	917
	5,049	3,149

- (ა) 2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში, კომპანიამ შეწყვიტა ფუნქციონირება სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. რემონტზე გაწეული დანახარჯების ძირითადი ნაწილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ ორი თვის განმავლობაში ჩატარებულ ტექნომსახურების სამუშაოებს უკავშირდება.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	2023	2022
დივიდენდები	14,472	35,560
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15/85	15/85
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	2,554	6,275
საქართველოს რეზიდენტ აქციონერებზე დაუქვითავი განაწილების გამოკლებით	(1,231)	(3,030)
მოგების გადასახადის ხარჯი	1,323	3,245

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა

მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება პროცენტიანი სესხებისგან, ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულების ძირითადი მიზანია კომპანიის კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების დაფინანსება. კომპანია ფლობს ფულად სახსრებს მიმდინარე ანგარიშებსა და ვადიან ანაბრებზე, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან და პროცენტიანი სესხების სახით აღებული სახსრებიდან მომდინარეობს.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდობის და საბაზრო რისკები. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტები ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიაღებება. კომპანია საკრედიტო რისკს გასწევს ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში განთავსებული ანაბრებიდან გამომდინარე.

კომპანია საკრედიტო რისკს გასწევს მხოლოდ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), შეზღუდული ფულადი სახსრების, ბანკში არსებული ვადიანი ანაბრების თანხებსა და მოთხოვნებთან მიმართებით. ნაღდი ფულის ნაშთი და ანაბრები ბანკში ერთ-ერთ უმსხვილეს ქართულ ბანკში, ხოლო შეზღუდული ფულადი სახსრები - ერთ-ერთ უმსხვილეს გერმანულ ბანკში ინახება. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, შეზღუდული ფულადი ანაბრები ბანკებში და მოთხოვნები არც გაუფასურებული და არც ვადაგასულია.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული სახელშეკრულებო დაფარვის ვადები. მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში შესული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად უფრო ანდრე, ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით წარმოიშვეს ძირითადი საშუალებების ან სხვა ვალდებულებებისთვის.

2023 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	0-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
ფინანსური ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები	64,415	69,060	17,128	14,048	37,884
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული					
ვალდებულება	10	10	10	–	–
სხვა ვალდებულება	449	449	449	–	–
საიჯარო ვალდებულებები	232	238	37	89	112
	65,106	69,757	17,624	14,137	37,996

2022 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	0-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
ფინანსური ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები	91,172	100,835	17,279	14,218	69,338
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული					
ვალდებულება	753	753	753	–	–
სხვა ვალდებულება	164	164	164	–	–
საიჯარო ვალდებულებები	276	341	25	86	230
	92,365	102,093	18,221	14,304	69,568

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, მოიცავს პროცენტიან სესხებს, ძირითადი საშუალებების და სხვა ვალდებულებებს და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო კურსის ცვლილების რისკი ძირითადად უკავშირდება კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

მგრძნობელობის ანალიზები მომზადდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტაში მუდმივია. კომპანია არ ახდენს გაცვლითი კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას.

კომპანიის სავალუტო რისკები ასეთია:

	აშშ დოლარში გამოხატული	
	2023	2022
პროცენტიანი სესხები	(64,415)	(91,172)
საიჯარო ვალდებულებები	(232)	(276)
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულება	(9)	(580)
შეზღუდული ფულადი სახსრები	17,612	17,906
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17,492	8,046
ვადიანი ანაზარი	4,184	4,204
წმინდა რისკის ზომა	(25,368)	(61,872)

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გამყარება/გაუფასურება 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემცირებდა).

	გამყარება	გაუფასურება
2023 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (+18.84%/-18.84%-იანი ცვლილების დინამიკა)	4,779	(4,779)
2022 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (+10%/-7%-იანი ცვლილების დინამიკა)	6,187	(4,331)

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი გამოიხატება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის უარყოფით ზეგავლენაში, რაც აისახება მოზიდულ ფინანსურ საშუალებებზე დარიცხული პროცენტების ზრდით ან გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან მიღებული მოგების შემცირებით. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მოზიდულ დაფინანსებასთან დაკავშირებით გასწევს საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან მიღებული სესხის ნაწილს აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სესხებზე და ნასესხებ სახსრების ნაწილზე საპროცენტო განაკვეთებში შესაძლო ცვლილებების მგრძნობელობა, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად შენარჩუნებით და კომპანიის დაბეგვრამდე მოგებაზე მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ნასესხებ სახსრებზე გავლენით:

	საპროცენტო განაკვეთის ცვლილება	დაბეგვრამდე მოგების ეფექტი
2023	+1.00%	(129)
	-0.25%	32
2022	+1.00%	(182)
	-0.25%	46

(დ) კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი შედგება კომპანიის საკუთარ კაპიტალში აქციონერის შენატანისგან, დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალისგან (გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობა ქოლ-ოფციონის გამოყენების შემდეგ) და გაუნაწილებელი მოგებისგან.

კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული რაიმე გარე მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის, რომ დაკმაყოფილდეს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ მიახლოებითი თანხის დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციის დროს. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, გარდა პროცენტიანი სესხებისა, ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული.

პროცენტიანი სესხების სამართლიანი ღირებულება ასევე უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას იმდენად, რამდენადაც სესხების საპროცენტო განაკვეთები ექცევა ბაზარზე მსგავსი ფინანსური გარიგებებისთვის განსაზღვრული გავრცელებული საპროცენტო განაკვეთების ჩარჩოებში.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც ცნობილია, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ლი დონით არის შეფასებული და ბანკში ვადიანი ანაზღაურებისა, რომლებიც მე-2 დონეს განეკუთვნება.

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია (გაგრძელება)

საოპერაციო გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც გაფორმდა დაკავშირებულ მხარეებთან, ასევე ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან, შესაბამისი ფინანსური წლის განმავლობაში.

აქციონერები	გადახდილი დივიდენდები	მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ
2023		
TEPCO Renewable Power Singapore Pte. Ltd.	4,212	–
Lok W. Home Irrevocable Trust	3,268	–
შპს „ენერგია“	6,992	13
2022		
TEPCO Renewable Power Singapore Pte. Ltd.	13,112	–
Lok W. Home Irrevocable Trust	8,034	–
შპს „ენერგია“	17,185	93

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

2023 წლის განმავლობაში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღიარებული თანხები შეადგენდა 319 ლარს (2022 წ.: 392 ლარი).

18. პირობითი ვალდებულებები

კომპანიასა და სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება

2014 წლის 18 ივლისს კომპანიასა და „ესკო“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის თაობაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას აქვს ვალდებულება უზრუნველყოს ელექტროენერგიის მიწოდება „ესკოსთვის“ ზამთრის თვეებში (დეკემბერი, იანვარი და თებერვალი) გარანტირებულ ფასად - 1 კვტ/სთ 6.5 აშშ ცენტად. 2019 წლის 7 ოქტომბერს, „ესკოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება შეიცვალა და 2021 წლის სექტემბრის თვიდან 1 კვტ/სთ-ის ღირებულება აპრილიდან სექტემბრამდე თვეებისთვის 5,7 აშშ ცენტით განისაზღვრა, ხოლო 1 კვტ/სთ-ის ტარიფი ოქტომბრიდან მარტამდე თვეებისთვის 6,5 აშშ ცენტს შეადგენს.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

19. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში იყო შემდეგი:

	2023 წლის 1 იანვარი	ფულადი ნაკადები	ფინანსური დანახარჯები	უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული ცვლილება	სხვა	2023 წლის 31 დეკემბერი
პროცენტული სესხები	91,172	(30,326)	4,843	(1,259)	(15)	64,415
საიჯარო ვალდებულებები	276	(97)	18	35	–	232
	2022 წლის 1 იანვარი	ფულადი ნაკადები	ფინანსური დანახარჯები	უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული ცვლილება	სხვა	2022 წლის 31 დეკემბერი
პროცენტული სესხები	133,407	(34,994)	6,314	(13,550)	(5)	91,172
საიჯარო ვალდებულებები	409	(108)	26	(51)	–	276



Building a better
working world

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „დარიალი ენერჯის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელებს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 22 აპრილს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2024 წლის 26 ივლისი

სს „დარიალი ენერჯის“ მმართველობითი ანგარიშგება 2023

საქმიანობის მიმოხილვა

სს „დარიალი ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოებას. კომპანიის იურიდიული მისამართია ჩაჩავას ქ. № 8, თბილისი, 0159, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა. კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივია დარიალის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მდებარეობს დარიალის ხეობაში მდინარე თერგზე (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი). ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა 2016 წლის ნოემბერში და იმავე წლის 30 დეკემბრიდან კომპანიამ დაიწყო ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა. კომპანიის ძირითადი მესაკუთრე-ბენეფიციარები არიან:

	31 დეკემბერი 2023
შპს „ენერგია“	44.27%
TEPCO Renewable Power Singapore Pte. Ltd.	31.38%
Lok W. Home Irrevocable Trust	24.35%
სულ	100.00%

კომპანია, წესდების შესაბამისად, წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში, ატარებს აქციონერთა კრებას, სადაც განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ.

კომპანია აღრიცხვა-ანგარიშსწორებას აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანიას საბუღალტრო მომსახურებას უწევს შპს „გროუ კონსალტინგი“. სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავება და ასახვა ხდება საბუღალტრო პროგრამა „ინფო“ საწარმოში. თითოეული სააღრიცხვო დოკუმენტი/ინფორმაცია მოწმდება კომპანიის უფლებამოსილ პირთან და მხოლოდ ნამდვილობის დადასტურების შემდგომ ხდება შესაბამისი ინფორმაციის ასახვა ელექტრონულ საბუღალტრო ჩანაწერებში. ყოველი თვის სააღრიცხვო ინფორმაციის შეყვანა ელექტრონულ საბუღალტრო ჩანაწერებში ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მზადდება ყოველკვარტალურად და აგრეთვე მზადდება წლიური ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანიას აუდიტორულ მომსახურებას უწევს შპს „იუაი“.

როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს, რადგან სამი კრიტერიუმიდან აკმაყოფილებს ორს: (ა) დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ზე ნაკლებია, და (ბ) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთობლივი შემოსავალი 100 მილიონ ლარზე ნაკლებია.

	31 დეკემბერი 2023
აქტივების ჯამური ღირებულება	252,081,000 ლარი > 50,000,000 ლარი
2023 წლის შემოსავალი	62,087,000 ლარი < 100,000,000 ლარი
2023 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	63 დასაქმებული < 250

კომპანიის აქციები არ ივაჭრება საფონდო ბაზარზე.

კომპანია ფოკუსირებულია ელექტროენერგიის გამომუშავებასა და გაყიდვაზე და ახლო მომავალში არ გეგმავს ეკონომიკის სხვა სეგმენტებში აქტიურობას. კომპანიის მენეჯმენტი

მოტივირებულია და ფოკუსირებულია კომპანიის სტაბილურ ზრდაზე, რაც გამოიხატება კომპანიის აქტიურ ჩართულობაში ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების რეაბილიტაციის პროცესში, რომელიც დასრულდა 2019 წლის სექტემბერში. 2016, 2017 და 2019 წლებში კომპანიამ გაწია გადამცემი ხაზების რეაბილიტაციის ხარჯები, შესაბამისად, 3,337,000, 302,000 და 811,000 ლარის ოდენობით. გადამცემი ხაზები არის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მფლობელობაში.

კომპანიის მნიშვნელოვანი რისკები და გაურკვევლობები მოიცავს: ბუნებრივ სტიქიურ მოვლენებს, ეკონომიკურ რყევებს ქვეყანაში და მის გარეთ, სავალუტო და საკრედიტო რისკებს. დღეის მდგომარეობით გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია/მშენებლობა დასრულებულია. შედეგად, კომპანიას შეუძლია, გამოიმუშაოს წინა პერიოდებთან შედარებით 2-ჯერ მეტი ელექტროენერგია. გამომუშავების მატებამ თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზარდა კომპანიის შემოსავლები და კომპანია მიმდინარე და მომავალ პერიოდებში შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მათ შორის, გარემოს დაცვით ვალდებულებებს.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებებია სესხის მომსახურება, ქონების გადასახადი და სხვა. 2014 წლის 12 აგვისტოს კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან (შემდგომში „EBRD“), რომლის საფუძველზე კომპანიამ მიიღო 80 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის 12-წლიანი სესხი. 2023 წელს კომპანიის მიერ სესხის ხელშეკრულების მომსახურების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 4,843,000 ლარი, ხოლო 2022 წლის ანალოგიური ხარჯი იყო 6,340,000.00 ლარი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ლარებში გამოსახული სასესხო ვალდებულების თანხები 2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2023	2022
პროცენტიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	28,329,000	27,479,000
პროცენტიანი სესხების გრძელვადიანი ნაწილი	36,086,000	63,693,000
სულ პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	64,415,000	91,172,000

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო და საბაზრო რისკებს და აგრეთვე – ლიკვიდურობის რისკს.

ზოგადად, საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და დებიტორულ დავალიანებასთან. კომპანიის თანხები განთავსებულია უმსხვილეს ქართულ და გერმანულ ბანკში, რაც ახდენს საკრედიტო რისკების შემცირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიას არ აქვს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები.

ლიკვიდურობის რისკი დაკავშირებულია კომპანიის ვალდებულებასთან, მოემსახუროს ფინანსურ ვალდებულებებს (სესხი), გაწიოს მიმდინარე საოპერაციო ხარჯები და სხვა. რადგანაც, კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივის, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა 2016 წლის ბოლოს, მენეჯმენტი ახორციელებს ლიკვიდურობის რისკის ფრთხილ მართვას, რაც გულისხმობს საკმარისი თანხების მოგროვებას საბანკო ანგარიშზე სასესხო ვალდებულებების მომსახურებისთვის. სასესხო ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ვალდებულია, მუდმივად ჰქონდეს რეზერვი უცხოურ ბანკში, რომელიც უნდა იყოს მომავალი სასესხო გადასახადის ტოლი. რადგანაც, კომპანია ვერ ახერხებდა ელექტროენერგიის გამომუშავებას სრული დატვირთვით გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია/მშენებლობის დასრულებამდე, კომპანია და EBRD შეთანხმდნენ სასესხო ვალდებულების დასაფარად სარეზერვო თანხის გამოყენებაზე. მიღწეული შეთანხმება ძალაში დარჩა 2020 წლის 1 მარტამდე. აღნიშნული თარიღიდან კომპანიას აქვს საშუალება, მუდმივად იქონიოს შევსებული რეზერვი უცხოურ ბანკში და შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სს „ელექტროსისტემების კომერციულ ოპერატორთან“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიის შემოსავლები

ელექტროენერგიის გაყიდვიდან გარანტირებულია და ფასიც ფიქსირებულია. ელექტროენერგიის ფასთან დაკავშირებით ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კომპანიასა და სახელმწიფოს შორის 2011 წლის 19 მაისს გაფორმებულ მემორანდუმში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად 2021 წლის ზაფხულიდან შეიცვალა ელექტროენერგიის საზაფხულო ტარიფი, რომელიც 0.05 აშშ დოლარის ნაცვლად გახდა 0.057 აშშ დოლარი.

კომპანიის საბაზრო რისკი დაკავშირებულია მომავალი ფულადი ნაკადების ცვალებადობასთან საბაზრო ფასების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი შედგება ორი კომპონენტისაგან: (ა) სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკი, და (ბ) სავალუტო კურსების ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკი. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის ჰეჯირებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ რისკს გარკვეულწილად ამცირებს გამომუშავებული ელექტროენერგიის ფასის აშშ დოლარში ნომინაცია. კომპანიის მგრძნობელობა სავალუტო კურსის და საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობასთან დაკავშირებულ რისკებთან მიმართებაში მოყვანილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2023 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა იყო 64. კომპანია ზედმიწევნით ასრულებს საქართველოს შრომის კოდექსითა და შრომის უსაფრთხოების ნორმებით დადგენილ ვალდებულებებს.

კომპანია ასრულებს გარემოსდაცვითი მონიტორინგის სქემით დადგენილ ვალდებულებებს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში აგზავნის გარემოსდაცვითი მონიტორინგის კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს. აგრეთვე, EBRD-სთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ასრულებს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანიამ უნდა განახორციელოს ტყის განაშენიანება 2017-2035 წლებში. 2017 წელს ტყის განაშენიანებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 165,000 ლარი. შედეგად, შექმნილია სანერგე მეურნეობა, სადაც დაითესა ადგილობრივი წიწვოვანი ხეები. აღმოცენებული ნერგები გამოიყენება ტყის განაშენიანების ვალდებულების შესასრულებლად. 2022 და 2023 წლებში კომპანიამ გაწია ტყის განაშენიანების ხარჯები, შესაბამისად, 70,000 და 123,000 ლარის ოდენობით.

2023 წლის ნოემბრიდან კომპანიამ დაიწყო სადერივაციო გვირაბის რეალიზაციის პროექტი. შედეგად, აუცილებელი გახდა ჰიდროელექტროსადგურის გაჩერება 2023 წლის ნოემბერში და დეკემბერში. კომპანიის მიერ აღნიშნული რეალიზაციის ფარგლებში 2023 წელს გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1,438,000.00 ლარი.

ელექტროენერგიის მზარდი მოხმარების პირობებში კომპანიის მიზანია განვითარებული ინფრასტრუქტურითა და მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით უზაუსხოს თანამდეროვე გამოწვევებს და იტვირთოს მისია, რომლის ამოსავალი წერტილია შეძლებისდაგვარად მეტი ელექტროენერგიის გამომუშავება ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობაში წვლილის შესატანად. წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება კომპანიის ხელძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2024 წლის 26 ივლისს.


გიორგი ქაჯარაძე
გენერალური დირექტორი


შვიად ალაშვილი
მთავარი ბუღალტერი